აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 24

09 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისა და 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 63-ე მუხლის 13-ე პუნქტის, 64-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისა და 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის გამოყენებულ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 11 სექტემბრის საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ №9 დადგენილება.

მუხლი 2. 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისა და 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიებმა იხელმძღვანელონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 23 სექტემბრის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ №12 დადგენილებით.

მუხლი 3. 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისა და 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიებმა იხელმძღვანელონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 11 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის კენჭისყრის დღის პროცედურების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ №14 დადგენილებით.

მუხლი 4. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია